შ.პ.ს. „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“
მისამართი: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9
ტელ: (+995) 599288888, (+995) 32 2951590
Email: llc.rhcc@gmail.com

LLC „Regional Healthcare Center“
address: 9, M. Asatiani st. Tbilisi
tel: (+995) 599288888, (+995) 32 2951590
Email: llc.rhcc@gmail.com

KA03011290811

#13/617

31 / ივლისი / 2019 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ ოპერირებს მაღალმთიან რეგიონებში, სადაც მოსახლეობის ძირითადად ქვეყნის დიდ ქალაქებში მაღალი გადინების გამო, მუდმივად იქმნება კვალიფიციური კადრის დეფიციტი.

სამედიცინო სერვისების უწყვეტი მიწოდების მიზნით, ცენტრში დანერგილია ექიმი - სპეციალისტების როტაციისა და დროებითი კონტრაქტირების პრაქტიკა, რაც არ უზრუნველყოფს პრობლემის გრძელვადიან მოგვარებას. განსაკუთრებით მწვავედ დგას ანესთეზიოლოგ -რეანიმატოლოგთა და გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტებით ცენტრის კლინიკების დაკომპლექტების საკითხი.

2020 წლიდან, მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად (გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში შესაძლებელია მხოლოდ გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტის მუშაობა), კიდევ უფრო გართულდება აღნიშნული სპეციალისტების მოზიდვა რეგიონებში (გაზრდილი მოთხოვნის და ანაზღაურების გამო), რაც შეაფერხებს სანებართვო/სალიცენზიო პირობების მიხედვით სერვისების უზრუნველყოფას მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისთვის (დღევანდელი მდგომარეობით, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ კლინიკებში სულ დასაქმებულია 14 გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი, ხოლო 2020 წლისთვის აუცილებელია 51 სპეციალისტის დამატება. იხ. დანართი N 1).

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემის დროულად აღმოფხვრის მიზნით, გთხოვთ განიხილოთ და დაგვეხმაროთ ქსელის კლინიკების გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტებით უზრუნველყოფასა და ქსელის ანესთეზიოლოგ - რეანიმატოლოგებისათვის (24 ანესთეზიოლოგ - რეანიმატოლოგი) საექიმო სპეციალობაში - „გადაუდებელი მედიცინა“ დაჩქარებული/გამარტივებული წესით დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვებაში (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 თებერვალის ბრძანება №01-7/ნ - დანართი N 3, პუნქტი 12).

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნუგზარ ბოლქვაძე